ᲡᲡᲘᲞ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ
ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

14 იანვარი, 2026 წ.

# ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო ს
# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/01

**პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმის (2026 წ.) დამტკიცების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის, „ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ” ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 22 იანვრის №06-01/07 დადგენილების, „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების, „პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს განვითარების გრძელვადიანი (შვიდწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 12 მარტის №06-01/23 დადგენილების, „პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს განვითარების გრძელვადიანი (შვიდწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგის მიზნით მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 11 მაისის №01-02/45 ბრძანების (ცვლილება N01-02/220, 04.12.2025 წ. ბრძანებით) და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის სამსახურებრივი ბარათის (MES 7 26 0000020598, 14.01.2026) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

## დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს **პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2026 წ.)**, წინამდებარე დადგენილების **№1 დანართის** შესაბამისად.
2. წინამდებარე დადგენილების აღსრულებაზე კონტროლი დაევალოს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორს.
3. დადგენილება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში: „ჩვენს შესახებ“ („სამოქმედო გეგმა“) და „პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის“ შესაბამის ველში).
4. დადგენილება დაეგზავნოს უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს (რექტორს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს), რექტორის მოადგილეებს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს განვითარების გრძელვადიანი (შვიდწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმით

განსაზღვრული აქტივობების შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგის მიზნით შექმნილი მონიტორინგის ჯგუფის წევრებს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარიას), ფაკულტეტებს, სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს და იურიდიულ დეპარტამენტს.

5. დადგენილება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. N30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი ტიტე აროშიძე

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს
2026 წლის 14 იანვრის №06-01/01 დადგენილების დანართი 1.

პროფესიული განათლების მიმართულებით
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარების ერთწლიანი (2026 წ.) გეგმა

## პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს განვითარების 1 წლიანი სამოქმედო გეგმა (2026)

| ამოცანა | აქტივობები | განხორციელების ვადები | | | | | | | | | | | | პასუხისმგებელი/ | სხვა ჩართული მხარეები (გარდა დაწესებულებისა) | შესრულების ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები | ადამიანური და მატერიალური რესურსი | დაფინანსების წყარო |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII | | | | | |
| სტრატეგიული მიზანი N 1: **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების მუდმივი განახლებისა და განვითარების ხელშეწყობა** | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| **1.1**. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დაგეგმვა და შემუშავება | 1.1.1.ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებაზე ზრუნვა, ხარისხის ციკლის შესაბამისად: დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-განავითარე | • | • | • | • | • | • | • | | • | • | • | • | ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი;<br><br>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები | დამსაქმებლები; კურსდამთავრებულები | დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია;<br><br>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები; პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამები | ბსუ-ს ადამიანური და მატერიალური რესურსი | ბსუ-ს 2026 წლის ბიუჯეტი |
| | 1.1.2 შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია | • | • | • | • | • | • | • | • | • | • | • | • | | | | | |
| | 1.1.3. ბაზრის კვლევის საფუძველზე ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დაგეგმვა/შემუშავება | • | • | • | • | • | • | • | | • | • | | | | | | | |
| | 1.1.4 ადგილობრივი შრომის ბაზრის ანალიზი; პარტნიორი ორგანიზაციების ქსელის გაფართოება | | • | • | • | • | • | | | • | • | | | | დამსაქმებლები | გაფორმებული მემორანდუმები | ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი | ბსუ-ს 2026 წლის ბიუჯეტი |
| **1.2.** საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად საჭირო რესურსებით უზრუნველყოფა | 1.2.1. პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსების შეფასება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება | | | • | • | • | • | • | | • | • | • | • | ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი;<br><br>ცენტრის სასწავლო პროცესის მენეჯერი;<br><br>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები | | პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;<br><br>მატერიალური რესურსების შეფასების შედეგები;<br><br>ბსუ-ს საბიბლიოთეკო ფონდი;<br><br>პროგრამების ბიუჯეტი;<br><br>განმახორციელებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები. | ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური<br>ბსუ-ს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი;<br>ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახური (კანცელარია) | ბსუ-ს 2026 წლის ბიუჯეტი |
| | 1.2.2. გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან, ბიზნეს ასოციაციებთან ახალგაზრდა პროფესიონალი კადრების მოზიდვის მიზნით; ბსუ-ს შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობა მატერიალური რესურსის შესყიდვის მიზნით. | | | | • | • | • | • | | • | • | • | | | | | ბსუ-ს საფინანსო - ეკონომიკური დეპარტამენტი;<br>ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი | |
| | 1.2.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო მასალა-ნედლეულის მონიტორინგი და განახლება | • | | | • | • | • | • | | • | • | • | | ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი;<br><br>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები | | | ბსუ-ს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი;<br>ბსუ-ს საფინანსო ეკონომიკური სამსახური;<br>ცენტრის ფინანსური მენეჯერი; | |
| | 1.2.4 საბიბლიოთეკო ფონდის გადახედვა და განახლება; | | | | • | • | • | • | | • | • | • | | მენეჯერი;<br><br>ცენტრის ბიბლიოთეკარი;<br><br>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლი პერსონალი. | | | ბსუ-ს ილია ჭავაჭავაძის ბიბლიოთეკა;<br>ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი; | |

| | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1.2.5 საბიბლიოთეკო რესურსების განვითარება, იდენტიფიცირება, რიდერების მომზადება | | • | • | • | • | | • | | • | • | • | | ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი;<br><br>ცენტრის ბიბლიოთეკარი;<br><br>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლი | | | ბსუ-ს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკა | |
| 1.3. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | 1.3.1.კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევა და ანალიზი | | • | | | | | • | | | | | • | ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი;<br>სპეციალისტი (ხარისხის მართვის კოორდინატორი) | კურსდამთავრებულები. | პროფესიული სტუდენტების რეგისტრაციის, ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის, მობილობის სტატისტიკის ანალიზის შედეგები;<br>კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;<br>დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის ანალიზი;<br>შრომის ბაზრის ანალიზი;<br>პროგრამების განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები. | ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური | ბსუ-ს 2026 წლის ბიუჯეტი |
| | 1.3.2. შრომის ბაზრის ანალიზი; დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევა და ანალიზი | | | • | | | | | | • | | | | | დამსაქმებლები. | | | |
| | 1.3.3. შეხვედრები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან სწავლებისა და სწავლის პროცესში სიახლეების დანერგვის საჭიროებების დადგენის მიზნით | • | | • | | • | | • | | • | | • | | | პროფესიული განათლების მასწავლებლები. | | | |
| | 1.3.4 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება (სასწავლო გეგმებში ცვლილებების შეტანა; სასწავლო რესურსის განახლება და სხვ.) | | • | | • | | • | | | | • | • | | ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი | ცენტრის სპეციალისტი (ხარისხის მართვის კოორდინატორი; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები | საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ბრძანება | არსებული რესურსი | |
| | 1.3.5 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავება და დამატება. | | • | | • | | • | | | | • | • | | ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფები | შემუშავებული პროგრამები;<br>მოპოვებული პროგრამების განხორციელების უფლება | არსებული რესურსი | |
| | 1.3.6 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარიზაცია | • | • | • | • | • | • | • | | • | • | • | • | ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი | ბსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური; ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი. | ღია კარის დღეების/ დაინტერესებულ პირებთან შეხვედრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. | არსებული რესურსი | ბსუ- ს ბიუჯეტი |
| **1.4.** სასწავლო პროცესის ორგანიზება სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით, სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით | 1.4.1. სასწავლო პროცესის მონიტორინგი (მათ შორის პრაქტიკის ობიექტებზე) | • | • | • | • | • | • | • | | • | • | • | • | ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი;<br>სპეციალისტი (ცენტრის საწარმოო პრაქტიკის კოორდინატორი) | პრაქტიკის ობიექტები | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები;<br>კალენდარული გეგმები;<br>პრაქტიკის ობიექტებს შორის გაფორმებული მემორანდუმები/ხელშეკრულებები;<br>ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (საჭიროების შემთხვევაში);<br>პროგრამების განმახორციელებელ პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები; | არსებული რესურსი | ბსუ-ს 2026 წლის ბიუჯეტი |
| | 1.4.2 სწავლების ხარისხის გაუმჯობესება და თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობა | | | | | | | | | | | | | ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი | სპეციალისტი (საწარმოო პროცესის კოორდინატორი) | გაუმჯობესებული სწავლების ხარისხი, სასწავლო პროცესის მონიტორინგის შედეგები.<br>პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება | არსებული რესურსი | |
| **1.5.** ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე და სამართლიანი/ობიექტური შეფასების სისტემის შექმნა/განვითარება | 1.5.1. შეფასების შიდა ვერიფიკაციის პროცესის განხორციელება | • | • | • | • | • | • | • | | • | • | • | | ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი | ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;<br>სპეციალისტი (ცენტრის ხარისხის მართის კოორდინატორი) | შეფასების შიდა ვერიფიკაციის შედეგების დასკვნები; შეფასების სისტემის ვერიფიკაციის სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანებები;<br>შეფასების სისტემის ვერიფიკაციის ანგარიში; | არსებული რესურსი | ბსუ-ს 2026 წლის ბიუჯეტი |
| სტრატეგიული მიზანი N 2: **პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერა და სტუდენტური სერვისების განვითარება** | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 2.1.1. შეხვედრები პროფესიულ სტუდენტებთან | • | • | • | • | • | • | • | | • | • | • | • | | | | | |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **2.1.** სოციალურ-ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნა | 2.1.2. სსსმ პროფესიული სტუდენტების საჭიროებების გამოვლენა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება | • | • | • | • | • | • | • | | • | • | • | • | ცენტრის დირექტორი;<br><br>ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი | ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი | ბსუ-ს მარეგულირებელი აქტები;<br>ბსუ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში;<br>ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების რეგულაცია;<br>საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტისათვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;<br>პროფესიულ სტუდენტთან ინტერვიუს შედეგების ანალიზი. | არსებული რესურსი | |
| | 2.1.3 პროფესიული სტუდენტების დამატებითი კონსულტირება | • | • | • | • | • | • | • | | • | • | • | • | ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი;<br><br>ცენტრის სპეციალისტი (საწარმოო პრაქტიკის კოორდინატორი). | პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები/პოტენციური დამსაქმებლები | პროფესიული სტუდენტის მხრიდან წამოსული მომართვის შემთხვევაში დამატებითი კონსულტირების უზრუნველყოფა | არსებული რესურსი | |
| 2.2. პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერის ღონისძიებების უზრუნველყოფა | 2.2.1. სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის სამსახურის წარმომადგენლების სამუშაო შეხვედრები პროფესიული განათლების სტუდენტებთან | • | • | | | • | | | • | | | • | | ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი | ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი;<br><br>ბსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური; | პროფესიულ სტუდენტთა კვლევის კითხვარი და შედეგები;<br>დამატებითი/არაფორმალური აქტივობების ჩატარების ამსახველი მასალა;<br>მხარდაჭერილია და განხორციელებულია სხვადასხვა აქტივობები პროფესიული სტუდენტის ინტერესების ინიციატივების გათვალისწინებით; | არსებული რესურსი | ბსუ-ს 2026 წლის ბიუჯეტი |
| | 2.2.2. შეხვედრები სტუდენტურ თვითმმართველობასთან | • | | | • | | • | | | • | | • | | | | | | |
| | 2.2.3. დამატებითი აქტივობების (კურიკულუმის გარეშე) წახალისებისა და სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერა | • | • | • | • | • | • | | • | • | • | • | • | | | | | |
| | 2.2.4 პროფესიული სტუდენტებისათვის დასაქმებაზე ორიენტირებული ტრენინგ კურსების განხორციელება | | | | | | | | | | • | | | ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი;<br>ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი | აჭარის დასაქმების სააგენტო;<br>პარტნიორი ორგანიზაციები. | მინიმუმ ორი ტრენინგ კურსი წელიწადში, პროგრამების შესაბამისად.<br>ტრენინგის ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია | არსებული რესურსი | |
| **2.3**. სტუდენტური სერვისების განვითარება | 2.3.1. ბსუ-ს სტუდენტურ პორტალში პროფესიულ სტუდენტთა ინტეგრაცია | | | | | | • | • | | • | • | • | | ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;<br>ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი; ბსუ-ს ცენტრის სასწავლო პროცესის დეპარტამენტი | ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი; | პროფესიულ ორიენტაციასა და დასაქმებასთან დაკავშირებით დაგეგმილი/განხორციელებული აქტივობების ამსახველი დოკუმენტაცია/ფოტო მასალა და სხვა;<br>პროფესიულ სტუდენტთან ინტერვიუს შედეგების ანალიზი. | არსებული რესურსი | ბსუ-ს 2026 წლის ბიუჯეტი |
| | 2.3.2 პროფესიულ სტუდენტთა სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის ჩატარება/ორგანიზება | | | | | • | • | | | | | | | ცენტრის დირექტორი;<br>ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი;<br>ბსუ-ს სამეცნიერო კვლევების სამსახური. | ცენტრის ადმინისტრაცია (დამხმარე პერსონალი);<br>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი. | ჩატარებული კონფერენციის ამსახველი მასალა. | ცენტრის ინფრასტრუქტურა | ბსუ-ს 2026 წლის ბიუჯეტი |
| სტრატეგიული მიზანი N 3: **პერსონალის განვითარების ხელშეწყობა** | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| **3.1.** პერსონალის მართვის სისტემის განვითარება | 3.1.1. პროფესიული განათლების მასწავლებელთა და ცენტრის პერსონალის საქმიანობის შეფასება და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევა | • | • | • | • | • | • | • | | • | • | • | • | ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი;<br><br>ცენტრის სპეციალისტი (ხარისხის მართვის კოორდინატორი). | ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური | პროფესიული განათლების მასწავლებელთა და ცენტრის პერსონალის საქმიანობის შეფასება და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის ანალიზი; | არსებული რესურსი | |
| 3.2. პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და პროფესიული | 3.2.1. პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა (ტრენინგების, ვორქშოფების, სემინარების, სამუშაო შეხვედრების ორგანიზება/მხარდაჭერა). | • | • | • | • | • | • | • | | • | • | • | • | ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი. | ბსუ-ს ხარისხის სამსახური | განხორციელებული აქტივობების ამსახველი დოკუმენტაცია პერსონალთან ინტერვიუს შედეგები. | არსებული რესურსი | ბსუ-ს 2026 წლის ბიუჯეტი |
| | 3.2.2. პროფესიული განათლების მასწავლებელთა ინტეგრირება დარგობრივ ქსელებში/დარგობრივი ქსელების შესაძლებლობების გამოყენება, | | | • | • | | • | • | | • | | • | | ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი; | ცენტრის დირექტორი;<br>პროგრამის ხელმძღვანელები;<br>პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი. | სხვადასხვა მიმართულებით დარგობრივ ქსელებში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები | არსებული რესურსი | |
| | 3.2.3. ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის ხელშეწყობა და პერსონალის წახალისების უზრუნველყოფა | • | • | | • | • | • | • | | | • | • | • | ცენტრის დირექტორი;<br>ცენტრის პერსონალი. | ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახური (კანცელარია)/ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული;<br>ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (წახალისების ნაწილში) | გაფორმებული ხელშეკრულებები; საინფორმაციო შეხვედრების დამდასტურებელი დოკუმენტაცია. | არსებული რესურსი | |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| განვითარების უზრუნველყოფა | 3.2.4 ცენტრის ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა (ტრენინგები, კვალიფიკაციის ამაღლების კურსები, სასერტიფიკაციო კურსები და სხვა.) | | | • | | | • | | | | | • | | ცენტრის დირექტორი; | ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახური (კანცელარია)/ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული; ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი; | პერსონალის განვითარების ღონისძიებების განრიგი/გეგმა; ჩატარებული ღონისძიებების/აქტივობების დამადასტურებელი მტკიცებულებები; სერტიფიკატები; დასწრების მტკიცებულებები. | არსებული რესურსი | ბსუ-ს 2026 წლის ბიუჯეტი |
| | 3.2.5 საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება, მათ შორის უცხოელ საგანმანათლებლო და ბიზნესპარტნიორებთან თანამშრომლობა და ერთობლივი/გაცვლითი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროექტების შემუშავება/ განხორციელება | • | • | • | • | • | • | • | | • | • | • | • | ცენტრის დირექტორი | ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი | საერთაშორისო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები/ხელშეკრულებები; საერთაშორისო ბიზნესპარტნიორებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები/ხელშეკრულებები; ერთობლივი და გაცვლითი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები | არსებული რესურსი | ბსუ-ს 2026 წლის ბიუჯეტი |
| სტრატეგიული მიზანი N 4: **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა** | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| **4.1.** მატერიალური რესურსისა და ინფრასტრუქტურის განვითარება | 4.1.1. მატერიალური რესურსის შეფასება/განახლება საჭიროებისამებრ | • | • | • | • | • | • | • | | • | • | • | • | ცენტრის დირექტორი, ცენტრის ფინანსური მენეჯერი. | ბსუ-ს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი | იდენტიფიცირებული საჭიროების მიხედვით მატერიალური რესურსი; განახლებული მატერიალური რესურსი | არსებული რესურსი | ბსუ-ს 2026 წლის ბიუჯეტი |
| | 4.1.2. პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო კორპუსის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება | | | • | • | • | • | • | • | • | • | • | • | ცენტრის დირექტორი | ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი; | მოწესრიგებული კორპუსის მიმდებარე ეზო და შემოსასვლელი;<br>ჩატარებული შიდა სარემონტო სამუშაოები აუდიტორიებში | არსებული რესურსი | ბსუ-ს 2026 წლის ბიუჯეტი |
| | 4.1.3. დაფინანსების დამატებითი წყაროების მოძიება (სხვადასხვა საგრანტო კონკურსები და სხვ.) | • | • | • | • | • | • | • | | • | • | • | • | ცენტრის ფინანსური მენეჯერი | ცენტრის მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერი; ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი; ბსუ-ს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი. | სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ კონკურსებში მონაწილეობა | არსებული რესურსი | |
| **4.2.** პერსონალისა და პროფესიული სტუდენტის უსაფრთხოების დაცვა | 4.2.1. პერსონალისა და პროფესიული სტუდენტებისათვის უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებით შეხვედრების/ტრენინგების ჩატარება | | | • | | | • | | | | | • | | ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი | ბსუ-ს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახური; ცენტრის სპეციალისტი (საწარმოო პრაქტიკის კოორდინატორი) | შეხვედრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია; ტრენინგების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია | არსებული რესურსი | ბსუ-ს 2026 წლის ბიუჯეტი |
| | 4.2.2 პერსონალისა და პროფესიული სტუდენტებისათვის პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის შესაბამისი შეხვედრების/ტრენინგების ჩატარება | | | • | | | • | | | | | • | | | | | | |
| | 4.2.3. პერსონალისა და პროფესიული სტუდენტებისათვის საინფორმაციო შეხვედრები პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებით | | | | • | | | | | • | | | | | პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი | | | |
| 4.3 ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის განვითარება | 4.3.1 ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შეფასება და განახლება | • | | • | | | • | | | • | | • | • | ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი; | ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი | ბსუ-ს პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები; განახლებული ინფორმაციული ტექნოლოგიების დამადასტურებელი დოკუმენტაცია | არსებული რესურსი | ბსუ-ს 2026 წლის ბიუჯეტი |
| 4.4 ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით მიზნებისა და საქმიანობის დისემინაცია. | ბსუ-ს ინგლისურენოვანი ვებ-გვერდის გააქტიურება, ინფორმაციის განახლება | | • | • | • | • | • | • | | • | | • | | სპეციალისტი (ცენტრის ხარისხის მართვის კოორდინატორი) | ბსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური | ბსუ-ს ინგლისურენოვანი ვებ-გვერდი | არსებული რესურსი | |